# ხაშურის მოამბე

№41(414) 30 ოქტომბერი, ორშაბათი, 2023 წელი


## ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა

შეხვედრის მიზანი იყო ე.წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების სოციალური, ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული საკითხების მიმოხილვა, ადამიანის უსაფრთხოების ჭრილში. საუბარი შეეხო სოფელ ჩორჩანაში და წაღვლში არსებულ სპეციფიკურ პრობლემებს, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში გენდერული თანასწორობის კუთხით არსებულ მდგომარეობას და მუნიციპალიტეტის მიერ ამ მიმართულებებით გატარებულ და დაგეგმილ ღონისძიებებს.

სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებმა სრული ინფორმაცია მიიღეს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანისგან და მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებისგან.

შეხვედრის ბოლოს, მხარეებმა სამომავლოდ, ერთობლივი ღონისძიებები და პარტნიორობის კონკრეტული გზები დასახეს.

## ხაშურის მუნიციპალიტეტს „ჩეხეთის ცენტრი თბილისის“ წარმომადგენლები სტუმრობდნენ

შეხვედრას უმასპინძლა ცენტრმა “ახალგაზრდები ხაშური განვითარებისთვის”.

„ჩეხეთის ცენტრი თბილისი“ ჩეხეთის საჯარო უწყებაა, რომელიც საქართველოში 2020 წელს დაფუძნდა ჩეხური კულტურის პოპულარიზაციის მიზნით.

ხაშურელ და სურამელ ახალგაზრდებს შეხვდნენ ჩეხი ძეგლთა დაცვის სპეციალისტები, რომლებმაც მათ ინფორმაცია მიაწოდეს თუ რა ტიპის აქტივობების ჩატარებაა შესაძლებელი ციხესიმაგრეებთან მიმართებაში, როგორ მიიზიდონ როგორც ქართველი, ისე უცხოელი დამთვალიერებელი, როგორ გააცოცხლონ ძეგლი, რაც გულისხმობს ერთგვარ რეკლამას, საინტერესო ღონისძიებების დაგეგმვას, ტურისტების მოზიდვის ახალი შესაძლებლობების შექმნას - და, ასევე, გარკვეული შემოსავლის გამომუშავებასაც.

მომხსენებლებმა დამსწრე აუდიტორიას ჩეხური მაგალითებიც გაუზიარეს.

ახალგაზრდებთან ერთად შეხვედრას ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების კულტურისა და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელი კონსტანტინე ფრუიძე, “ახალგაზრდები ხაშურის განვითარებისთვის” დირექტორი გიორგი მაჭარაშვილი, სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილების ხელმძღვანელი ბესო გაჩეჩილაძე, მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები.

## საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს საგრანტო პროგრამის - „25 000 ლარამდე ინოვაციების გრანტები რეგიონებისთვის“, გამარჯვებულები შიდა ქართლში გამოვლინდნენ.

საზეიმო ღონისძიებას ესწრებოდა სურამისა და ხაშურის ეპისკოპოსი სვიმეონი.

გამარჯვებულ პროექტანტთა შორის არიან ჩვენს ეპარქიაში მცხოვრები ახალგაზრდები: ნინო მაისურაძე და გიორგი ქართველიშვილი.

აღსანიშნავია, რომ ნინო მაისურაძე საქართველოს საპატრიარქოს ხაშურის წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონის კურსდამთავრებულია.

ეპისკოპოსმა სვიმეონმა მიულოცა რჩეულ პროექტთა ავტორებს გამარჯვება, დალოცა და შემდგომი წარმატებები უსურვა მათ.

შეხვედრაზე ამასთანავე გამოითქვა ბევრი საინტერესო აზრი და ინიციატივა #GITA - ს და ახალი ბანა • New Bana - ს მომავალი თანამშრომლობის შესახებ.

# ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2023 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის ანგარიში

ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახური მუშაობს ინფრასტრუქტრული პროექტების შემუშავებაზე და ახორციელებს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის მონიტორინგს და შეფასებას, ასევე ობიექტის მიღება-ჩაბარების მიზნით, თითოეული ინფრასტრუქტურული პროექტის ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლის ზედამხედველობას, შემოსულ კორესპონდენციებზე რეაგირებას. სამსახურში დასაქმებულია 9 მოსამსახურე, მათ შორის 2 შტატგარეშე მოსამსახურე.

ხაშურის მუნიციპალირტეტში 2023 წელს განსახორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები :

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2475 განკარგულების „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საფუძველზე საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსება შეადგენს 6 451 882 ლარს (თანადაფინანსება 347 207 ლარი):

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ცოცხნარამდე და ქემფერამდე მისასვლელი გზის მოასფალტება (მიმდინარე);

სოფელ ბრილში მისასვლელი გზის მოასფალტება (დასრულდა);

ჩქაროსნული ავტომაგისტრალიდან გაგარინის ქუჩამდე მისასვლელი გზის მოასფალტება (დასრულდა);

სოფელ ნაცარგორაში მისასვლელი გზის მოასფალტება (მიმდინარე);

ქ.ხაშურში ტაბიძის ქ. არსებული პარკის რეაბილიტაცია (მიმდინარე);

დაბა სურამში ლესელიძის ქუჩაზე (ახალ სასაფლაომდე მისასვლელი) გზის მოასფალტება (მიმდინარე).

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 9 თებერვლის N301 განკარგულების „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საუძველზე დაფინანსება შეადგენს 759 065 ლარს (თანადაფინანსება 39 951 ლარი):

სოფელ ბულბულისციხემდე მისასვლელი გზის მოასფალტება (მიმდინარე);

2023 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებულია 13 316 500 ლარის ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება. წარმოგიდგენთ მიმდინარე და დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების ჩამონათვალს:

დიდი და პატარა სატივეში გზის მოასფალტება (დასრულდა);

სოფ. ბიჯნისამდე მისასვლელი გზის მოასფალტება (მიმდინარე);

სოფელ ურთხვაში გზის (I და II მონაკვეთი) მოასფალტება (დასრულდა);

დაბა სურამში კიკნაძის ქუჩის მოასფალტება (დასრულდა);

დაბა სურამში ლესელიძის ქუჩის მოასფალტება (დასრულდა);

დაბა სურამში ბარათაშვილის ქუჩის მოასფალრება (დასრულდა);

სოფ. გომში სკოლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (დასრულდა);

სოფ. ალში სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (დასრულდა);

სოფელ ყიფიანთუბანში გზის მოწყობა (დასრულდა);

გზებზე ორმოულების სამუშაოების (პირველი ეტაპი) წარმოება (დასრულდა);

ქ. ხაშურში მიწისქვეშა გადასასვლელის რეაბილიტაცია (დასრულდა);

სოფელ ახალუბანში მისასვლელი გზის მოასფალტება (დასრულდა);

დაბა სურამში, ჩუმათელეთის და იტრიის დასახლებაში 2 ცალი სასმელი წყლის ჭაბურღილის, საქლორატოროს და სასმელი წყლის ქსელის მოწყობა (დასრულდა);

ხაშურის კულტურის სახლის რეაბილიტაცია (მიმდინარე);

დაბა სურამში ბაიანთხევის დასახლებაში სტადიონის მოწყობა (მიმდინარე);

სოფ. ტეზერში სტადიონის და საბავშვო ატრაქციონების მოწყობა (მიმდინარე);

ქ. ხაშურში ჭალისუბანში, ე.წ. სანერგეს ტერიტორიაზე სტადიონის და საბავშვო ატრაქციონების მოწყობა (მიმდინარე);

ქალაქ ხაშურში გორგასლის ქუჩაზე არსებული სტადიონის რეაბილიტაცია (მიმდინარე);

ქალაქ ხაშურში, თამარ მეფის ქუჩაზე მუსიკალური სკოლის მიმდებარედ ტერიტორიის კეთილმოწყობა (დასრულდა);

დაბა სურამში გვერდისუბნის დასახლებაში (ამაღლების ქუჩაზე) სკვერის მოწყობა (დასრულდა);

ქალაქ ხაშურში, შუშის ქარხნის დასახლება, ბინა №10-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ქანობიანი სახურავის მოწყობა (დასრულდა);

ქალაქ ხაშურში, შუშის ქარხნის დასახლება, ბინა №6-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ქანობიანი სახურავის მოწყობა (დასრულდა);

ქალაქ ხაშურში, თევდორე მღვდლის ქუჩა N43-ში (ბმა „ერთობა“) მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის რეაბილიტაცია (მიმდინარე);

ქალაქ ხაშურში, ოქტომბრის №101-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის და სახურავის რეაბილიტაცია (მიმდინარე);

ქალაქ ხაშურში, სარაჯიშვილის ქუჩა N86-ში (ბმა „იმედი“) მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია (დასრულდა);

სოფელ ზემო ოსიაურში მინი სტადიონის და ატრაქციონების მოწყობა (დასრულდა);

დაბა სურამში სარაჯიშვილის ქუჩაზე მინი სტადიონის და ატრაქციონების მოწყობა (დასრულდა);

ქალაქ ხაშურში, თამარ მეფის N8-ში ბმა ,,ჩვენი ეზო”-ს ღობის რეაბილიტაცია (დასრულდა);

დაბა სურამში მდინარე სურამულას მარცხენა ნაპირზე რუსიას ქუჩის მიმდებარედ L=307.0 მ) დაზიანებული ნაპირსამაგრი/ნაპირდამცავი კედლის რეაბილიტაცია (დასრულდა);

დაბა სურამში მდინარე სურამულას მარცხენა ნაპირზე აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარედ L=260.0 დაზიანებული ნაპირსამაგრი/ნაპირდამცავი კედლის რეაბილიტაცია (მიმდინარე);

ქალაქ ხაშურში 20 მეტრიანი სადროშე ბოძის მიწოდება-მონტაჟის სამუშაოების შესყიდვა (დასრულდა);

ქალაქ ხაშურში ტურისტული ცენტრის მიმდებარედ სკვერის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა (დასრულდა);

ქალაქ ხაშურში პუშკინის სკვერის შემოღობვის სამუშაოების შესყიდვა (მიმდინარე);

სოფელ ცოცხნარაში წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა (მიმდინარე);

სოფელ ვაყაში, მდინარე ჭერათხევის მონაკვეთზე დაზიანებული ნაპირსამაგრი/ნაპირდამცავი კედლების მშენებლობა/რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა (მიმდინარე);

„ქალაქ ხაშურში თევდორე მღვდლის ქუჩაზე გარე გამოყენების ტრენაჟორების და ფანჩატურის მოწყობის“ და „სოფელ ზემო ოსიაურში ფანჩატურის მოწყობის“ სამუშაოების შესყიდვა (მიმდინარე);

ლითონის 1100 ლიტრიანი ნაგავშემკრები კონტეინერების შესყიდვა (მიმდინარე);

სოფელ ალში და სოფელ ბრილში, სანიაღვრე არხის და ნაპირდამცავი კედლის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა (მიმდინარე);

ქალაქ ხაშურში რუსთაველის და აღმაშენებლის ქუჩაზე მგზავრთა მოსაცდელების მოწყობა (დასრულდა);

ქალაქ ხაშურში, „ზემო სერის“ ტყე-პარკის (ს/კ 69.08.54.346) რეაბილიტაციის (მეორე ეტაპი) სამუშაოების შესყიდვა (მიმდინარე);

ქალაქ ხაშურში თევდორე მღვდლის ქუჩაზე, N34 მრავალბინიანი საცხოვრებელი ბინის მიმდებარედ სადრენაჟე სისტემის მოწყობა (დასრულდა);

აზარმაში არსებული წყაროს განახლება/მოწყობის სამუშაოების შესყიდვა (დასრულდა);

ქალაქ ხაშურში მანათობელი ბანერების ე.წ. „ლაითბოქსის“ მოწყობა (დასრულდა);

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ორმოულის შეკეთების (მეორე ეტაპი) სამუშაოები (დასრულდა);

ქალაქ ხაშურში პროფესიული სასწავლებლის მიმდებარედ ბეტონის საფარის მოწყობა (დასრულდა);

სოფელ ქვიშხეთში, ლაცაბიძეების უბნის მიმდებარედ დაზიანებული ნაპირსამაგრი/ნაპირდამცავი კედლის მშენებლობა-რეაბილიტაცია (დასრულდა);

დაბა სურამში, გოგოლის ქუჩის რეაბილიტაცია (დასრულდა);

დაბა სურამში გვერდისუბნის დასახლებაში (ამაღლების ქუჩაზე) სკვერის მოწყობა (დასრულდა);

ქალაქ ხაშურში, თამარ მეფის ქუჩა N1-ში (ს.კ. 69.08.58.260) ორგანიზაციის ,,ა(ა)იპ ახალგაზრდები ხაშურის განვითარებისთვის” ფართის რეაბილიტაცია (დასრულდა);

სოფელ ქვიშხეთში ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია (დასრულდა);

სოფლის მხარდაჭერის პოგრამის ფარგლებში (საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის №2476 განკარგულება) დაფინანსებულია - 74 პროექტი, რომელთა ღირებულება შეადგენსს 904 000 ლარს (თანადაფინანსება - 1 49 000 ლარი). დანართი N1 (იხ, მე-3 გვ).

ასევე მიმდინარეობს :

ქ. ხაშურში იუსტიციის სახლის მშენებლობა - 4 300 000 ლარი.

ქ. ხაშურის მე-2 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია

უახლოეს პერიოდში დაიწყება დაბა სურამში და სოფელ ცხრამუხაში საბავშვო ბაღების მშენებლობა, რომელიც მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ფინანსდება.

გიორგი პაპიაშვილი,
ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის
სამსახურის ხელმძღვანელი

**დანართი №1**

## სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 2023 წელი

| № | ტერიტორიული ერთეული | დასახლების სახელწოდება | საპროექტო წინადადება | პროექტის საორიენტაციო ზღვრული ღირებულება, ლარი |
|---|---|---|---|---|
| 1 | ა ლ ი | ალი | სანიაღვრე არხების მოწყობა | 20 000,00 |
| 2 | | ბრილი | სანიაღვრე არხის მოწყობა | 12 000,00 |
| 3 | | ახალუბანი | ბეტონის საფარის მოწყობა | 10 000,00 |
| 4 | | დუმაცხოვი | ბეტონის საფარის მოწყობა | 10 000,00 |
| 5 | | ზემო აძვისი | შიდა საუბნო გზების მოხრეშვა | 10 000,00 |
| 6 | | კლდისწყარო | მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა | 10 000,00 |
| 7 | | ცხეთიჯვარი | არტეზიული ჭის და მაგისტრალის მოწყობა | 10 000,00 |
| 8 | | უწლევი | ნაპირსამაგრის მოწყობა | 10 000,00 |
| 9 | | ნაბახტევი | მოსაცდელების მოწყობა | 16 000,00 |
| 10 | | ქინძათი | სასმელი წყლის სათავე ნაგებობის და მაგისტრალის მოწყობა | 12 000,00 |
| **ჯამი:** | | | | **120 000,00** |
| 11 | **გომი** | გომი | სასაფლაოს შემოღობვა და კეთილმოწყობა | 30 000,00 |
| 12 | | ხიდის ყური | | |
| 13 | | ვაყა | სკვერის მოწყობა | 20 000,00 |
| 14 | | ქვემო აძვისი | სანიაღვრის მოწყობა | 10 000,00 |
| 15 | | დიდი სატივე | სკვერის მოწყობა | 22 000,00 |
| 16 | | პატარა სატივე | | |
| 17 | | აგარები | თავშყრის ადგილის კეთილმოწყობა | 10 000,00 |
| **ჯამი:** | | | | **92 000,00** |
| 18 | **ოსიაური** | ზემო ოსიაური | ზემო უბანში დასასვენებელი მინი სკვერის მოწყობა | 20 000,00 |
| 19 | | ქვემო ოსიაური | ბატონის ბაღის სკვერის რეაბილიტაცია/მოწყობა და ბილიკების მოპირკეთება | 16 000,00 |
| 20 | | ახალსოფელი | სოფელში ალტერნატიული შემოსასვლელი გზის ე.წ. რკინიგზის პარალელურად გამავალი გზის რეაბილიტაცია | 10 000,00 |
| 21 | | ნარუჯები | არსებული წყალმომარაგების ქსელის დაღრმავება და ავარიული ტუმბოს გამოცვლა | 10 000,00 |
| | | | ნარუჯები-პატარა ხალების დამაკავშირებელი გზის მოხრეშვა | |
| 22 | | ღუდა | მისასვლელი გზის ერთერთ მონაკვეთზე ბეტონის საფარის მოწყობა | 10 000,00 |
| **ჯამი:** | | | | **66 000,00** |
| 23 | **დაბა სურამი** | დიდი ბეკამი | სანიაღვრეების მოწყობა | 10 000,00 |
| 24 | | პატარა ბეკამი | სანიაღვრე არხების მოწყობა დასრულება | 12 000,00 |
| 25 | | ურთხვა | შიდა გზების რეაბილიტაცია (მოხრეშვა-მოშანდაკება) | 10 000,00 |
| 26 | | ზეკოტა | შიდა გზების მოხრეშვა-მოშანდაკება | 10 000,00 |
| 27 | | ბიჯნისი | სოფლის ცენტრში წყაროს კეთილმოწყობა და ტაძრისკენ გარე განათების მოწყობა | 12 000,00 |
| 28 | | დაბა სურამი | სანიაღვრეების მოწყობა კაკალათხევის დასახლებაში | 20 000,00 |
| **ჯამი:** | | | | **74 000,00** |
| 29 | **ფლევი** | დიდი ფლევი | სკვერის მოწყობა | 12 000,00 |
| 30 | | პატარა ფლევი | ატრაქციონების მოწყობა | 10 000,00 |
| 31 | | ნაცარგორა | გარე ტრენაჟორების მოწყობა | 12 000,00 |
| 32 | | ტკოცა | სასაფლაოს შემოღობვა | 16 000,00 |
| **ჯამი:** | | | | **50 000,00** |
| 33 | **ქვიშხეთი** | ქვიშხეთი | სტადიონის შემოღობვა (ჭალისუბანი) | 20 000,00 |
| 34 | | ტაშისკარი | ფანჩატურის მოწყობა | 12 000,00 |
| 35 | | მონასტერი | სასაფლაომდე მისავლელი გზის ბეტონის საფარის და მილხიდის მოწყობა | 10 000,00 |
| 36 | | ზეღლეთი | ბეტონის გზის საფარის მოწყობის სამუშაოების გაგრძელება | 10 000,00 |
| 37 | | ზულზულისციხე | სასაფლაომდე მისასვლელი გზის ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების დასრულება | 10 000,00 |
| 38 | | სათივე | სკვერის მოწყობა | 10 000,00 |
| 39 | | სარმანიშვილისკარი | სასმელი წლის სისტემის რეაბილიტაციის დასრულება | 10 000,00 |
| 40 | | ტეზერი | ხახუტის ტეზერში სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა (ბირკაძეების უბანი) | 16 000,00 |
| 41 | | ყიფიანთუბანი | ზედა უბანში ბეტონის გზის საფარის მოწყობის სამუშაოების გაგრძელება | 12 000,00 |
| 42 | | სავანისუბანი | სანიაღვრე არხის მოწყობა | 12 000,00 |
| 43 | | რუსაანთუბანი | ბეტონის გზის საფარის მოწყობის სამუშაოების დასრულება | 10 000,00 |
| **ჯამი:** | | | | **132 000,00** |
| 44 | **ცხრამუხა** | ცხრამუხა | სოფლის შესასვლელში ხიდის რეაბილიტაცია და განათება. ცენტრალური ქუჩის გამწვანება. სოფ. ცენტრში განათების მოწყობა. სკვერში კარების მოწყობა დამცავი ჯებირით. სკამების შეკეთება სკვერში. | 20 000,00 |
| 45 | | თაგვეთი | ბეტონის გზის მოწყობა | 10 000,00 |
| 46 | | რბონა | ბეტონის გზის მოწყობა სოფლის გზის ერთართ მონაკვეთზე | 10 000,00 |
| 47 | | დამჩხეულა | გოგალაძეების და ტაბატაძეების სასაფლაომდე გზის მოხრეშვა | 10 000,00 |
| 48 | | ქაშვეთი | სასაფლაომდე მისასვლელი გზის მოხრეშვა | 10 000,00 |
| 49 | | ჯვართმუხა | ბეტონის გზის მოწყობა გზის ერთ მონაკვეთზე | 10 000,00 |
| 50 | | კოდისწყარო | სათავე ნაგებობის მოწყობა | 10 000,00 |
| **ჯამი:** | | | | **80 000,00** |
| 51 | **ცოცხნარა** | ქემფერი | 2 ფანჩატურის მოწყობა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა | 12 000,00 |
| 52 | | ცოცხნარა | ბეტონის საფარიანი გზის მოწყობა | 12 000,00 |
| 53 | | წაბლოვანა | შიდა საუბნო გზის მოხრეშვა | 10 000,00 |
| 55 | | ცედანი | საბავშვო სკვერის მოწყობა | 10 000,00 |
| 56 | | ოძისი | საბავშვო სკვერის მოწყობა | 10 000,00 |
| 57 | | ცივწყარო | შიდა საუბნო გზის მოხრეშვა და წყალგამტარი მილის მოწყობა | 10 000,00 |
| **ჯამი:** | | | | **64 000,00** |
| 58 | **წაღვლი** | წაღვლი | ხელოვნურ საფარიანი მინი სტადიონის მშენებლობის დასრულება | 16 000,00 |
| 59 | | კლდისწყარო | სოფ ქვ. ბროლოსანთან ერთად მინი სტადიონის მშენებლობის დასრულება | 10 000,00 |
| 60 | | ქვემო ბროლოსანი | კლდისწყაროსთან ერთად მინი სტადიონის მშენებლობის გაგრძელება | 10 000,00 |
| 61 | | ზემო ბროლოსანი | სოფელთან მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარის დაგება | 10 000,00 |
| 62 | | ჩორჩანა | საზოგად-ივი თავშეყრის შენობის კეთილმოწყობის სამუშაოების გაგრძელება | 10 000,00 |
| 63 | | წედვერი | სოფელთან მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარის დაგების სამუშაოების დასრულება | 10 000,00 |
| 64 | | ტიტვინისწყარო | სოფელთან მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარის დაგების სამუშაოების გაგრძელება | 10 000,00 |
| **ჯამი:** | | | | **76 000,00** |
| 65 | **წრომი** | წრომი | დასასვენებელი სკვერის მოწყობა | 12 000,00 |
| 66 | | ახალშენი | სოფლის შიდა გზაზე ბეტონის გზის დაგება | 10 000,00 |
| 67 | | ნადარბაზევი | გზის რთულ მონაკვეთზე ბეტონის გზის დაგება | 10 000,00 |
| 68 | | იმერლიანთკარი | წყლის სისტემის მოწყობა | 10 000,00 |
| 69 | | დიდი ყელეთი | საერთო სარგებლობის გზის რთულ მონაკვეთზე ბეტონის გზის დაგება | 20 000,00 |
| 70 | | პატარა ყელეთი | | |
| **ჯამი:** | | | | **62 000,00** |
| 72 | **ხცისი** | ხცისი | სასმელი წყლის სისტემის მოწყობა | 16 000,00 |
| 73 | | მიწობი | სასმელი წყლის სისტემის მოწყობა | 12 000,00 |
| 74 | | კრისხევი | არსებული მინი სტადიონის რეაბილიტაცია | 10 000,00 |
| **ჯამი:** | | | | **38 000,00** |
| 75 | **ხალები** | დიდი ხალები | სოფელში არსებული გზის რეაბილიტაცია, ბეტონის საფარის მოწყობა გარკვეულ მონაკვეთებზე | 10 000,00 |
| 76 | | პატარა ხალები | სოფელში არსებული გზის რეაბილიტაცია, ბეტონის საფარის მოწყობა გარკვეულ მონაკვეთებზე | 10 000,00 |
| 77 | | ღართა | სოფელში არსებული გზის რეაბილიტაცია, ბეტონის საფარის მოწყობა გარკვეულ მონაკვეთებზე | 10 000,00 |
| 78 | | სარტყელა | სოფელში არსებული გზის რეაბილიტაცია, ბეტონის საფარის მოწყობა გარკვეულ მონაკვეთებზე | 10 000,00 |
| 79 | | ღვრიაწყალი | სოფლის მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა | 10 000,00 |
| **ჯამი:** | | | | **50 000,00** |
| **სულ ჯამი:** | | | | **904 000,00** |

* * *

# ულუმბო

## ფრაგმენტები სოფლის ისტორიიდან

**(დასასრული. დასაწყისი №18,19,20,21,22,23,24,25,26,27,28,29,30,31,32,33,34, 35,36,37,38,39)**

ულუმბოს ტოპონიმები ახალია, მისი ხელმეორედ დასახლების (XIX ს-ის 60-70-იანი წლები) დროინდელი. ძველი ტოპონიმებიდან აღარაფერია შემორჩენილი, ძველი ულუმბელების აქედან წასვლასთან ერთად მიეცა დავიწყებას. შემორჩა მხოლოდ სოფლის უმშვენიერესი სახელწოდება - ულუმბა. მოვიდა ახალი მოსახლეობა და აუცილებლობამ წარმოშვა საჭიროება ადგილებს დარქმეოდა სახელები,რათა განესხვავებინათ ისინი ერთმანეთისგან. და ასე, თანდათან გაჩნდა ახალი სახელები, რომლებიც ჩვენს მიერ ჩაწერილია გასული საუკუნის 80-იან წლების ბოლოს მკვიდრი ულუმბელებისგან, რომლებიც ზეფხულობით ამოდიოდნენ აქ მამა-პაპათა სამკვიდროზე. იგივე გავიმეორეთ 2012 წელსაც.

ულუმბის ახალტოპონიმიაში კარგად იკითხება ულუმბელების საქმიანობა,ყოფა და ტრადიციები,ურთიერთობა სამეზობლო სოფლებთან და სხვ.

ავაზას წყალი - ადგ., წყარო დასავლეთის მხარეს. ბასილას წყარო - ადგ; წყარო ბელათხევი - ადგ., სათიბი აღმოსავლეთის მხარეს. „სახნავი იყო ადრე, ახლა სათიბია“. ბნელეთის ღელე - ღელე. იგივე, რაც ბნელათხევი. ბნელათხევი - ადგ; ხევი, ღელე ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. „ძალიან ბნელი ხევი იყო“. „სათიბის ძირიდან იწყება ბელათხევის ღელე და ჩადის ულუმბის შესასვლელში და უერთდება ჭერათხეულას. ბნელი, გაუვალი ხევია. ამიტომ ეტყვიან“(ო.კიპაროიძე). დედაბერა - ადგ., სერი დასავლეთის მხარეს. „უღელტეხილია, საჩხერის რაიონში გადავდივართ, ლიჩის სასოფლო საბჭოში“.

ზედაყანა - ადგ., სახნავი ჩრდილოეთის მხარეს. „კიპაროიძეებს ეკუთვნოდა“. ზედაუბანი - ადგ; უბანი, იგივე კიპაროიძეების უბანი.

ზედაუბნის წყარო - წყარო კიპაროიძეების უბაში.

კიპაროიძეების უბანი - ადგ; უბანი სოფლის დასავლეთ ნაწილში, ეკლესიის ზემოთ. კიპაროიძეების წყარო - წყარო, იგივე ქვედაუბნის წყარო.

კორტოხი - ადგ; მინდორი აღმოსავლეთის მხარეს. „ბელაშვილებს ეკუთვნოდათ. სათიბად არ ხმარობდნენ, გამხმარი მინდორი იყო“.

კორტოხისერები - ადგ; გორა.

კოჟი - ადგ., მინდორი სამხრეთის მხარეს. „ხარაიშვილებს ეკუთვოდა. მაღალი გამოუსადეგარი ადგილი იყო“.

ნასახტრი - ადგ., მინდორი სამხრეთის მხარეს. „აქ არის ეკლესიის ნანგრევები“. ნასახტრი ღელე - ღელე სამხრეთის მხარეს., უერთდება ულუმბის წყალს. „მის მარცხეა მხარეს ეკლესიის ნანგრევებია“.

ნაქერის ღელე - ღელე. ჩამოედინება სოფელში დასავლეთის მხრიდან, უერთდება ულუმბის წყალს. „ძველახოდან იღებს სათავეს, ჩადის ულუმბოში, კიპაროიძეებში, უერთდება სახტრის წინ ორტოტი ღელეს და ბელათევს“.

ნაცერცვალი - ადგ., მინდორი ჩრდილოეთის მხარეს. „ბელაშვილებს ეკუთვნოდათ, ცერცვი ითესებოდა“.

ნახერგი//ნახერგები - ადგ., მინდორი, სახნავი, სათესი აღმოსავლეთით.

ნახერგის აღმართი - ადგილი აღმოსავლეთის მხარეს.

ნინისის სერი - ადგ., სერი, სახნავი სამხრეთის მხარეს. „ხარაიშვილებს ეკუთვნოდა, ნინისი სოფელი იყო“.

ორკაპი ღელე - ღელე ჩამოედინება სოფელში ჩრდილოეთის მხრიდან, ერთვის ულუმბის წყალს.

ორტოტიღელე - ღელე ჩამოედინება სოფელში ჩრდილოეთის მხრიდან, ერთვის ულუმბის წყალს. ოსიას სათიბი - ადგ., სათიბი აღმოსავლეთის მხარეს. „ოსია ხარაიშვილი იყო ჭოშორიდან, მისი გაკეთებული იყო“.

სათიბი - ადგ; სერი აღმოსავლეთის მხარეს, იგივე სათიბის სერი.

სათიბის სერი - ადგ., სერი აღმოსავლეთის მხარეს. „ადრე სახნავი იყო, სათიბი საერთოდ არ ყოფილა, ისე ეძახდნენ“, „აქაც არის ეკლესიის ნანგრევები“.

სათუთუნე - ადგ; მინდორი დასავლეთის მხარეს. „ადრე თუ თესდნენ თუთუნს, არ ვიცი“.

სამძღვარი - ადგ., მთა, სერი, მინდორი, საძოვარი ჩრდილო-დასავლეთით. „საჩხერის რაიონის საზღვარზეა, სახნავი იყო, ახლა სათიბია“. „საჩხერისა და ხაშურის რაიონების გამყოფია, წყალგამყოფიც არის. დასავლეთით საჩხერისკენ მიდის, აღმოსავლეთით ხაშურისკენ. გრძელდება დედაბერას სამძღვრამდე. დედაბერა სოფელი იყო საჩხერის რაიონში, ლიჩის საბჭოში“(ო, კიპაროიძე).

საფუტკრე - ადგ., გორა სოფლის ცენტრში, ეკლესიის დასავლეთ მხარეს. „ამაღლებული გორაა”.

სვიმონკას ნამწვი - ადგ; მინდორი, სახნავი, სათესი. „ეს ვიცი ბელაშვილი იყო, იმას ეკავა“, „ძალიან ფერდა იყო, ხარებს უჭირდათ გავლა. გადაწვა ვიღაცამ და სახნავი გააკეთა“(ო. კიპაროიძე).

სპირიდონას ღარდი - ადგ; ხევი, მინდორი. „ღელე ჩადის ულუმბოში, ბელაშვილებში უერთდება ორტოტი ღელეს, მიედინება სოფელში და უერთდება ჭერათხევს. სპირიდონა არ ვიცით ვინ არის“(ო. კიპაროიძე).

ულუმბის გადასასვლელი - ადგ; ლიხის გადასახლებული დასავლეთის მხარეს. ულუმბის წყალი - ღელე,ერთვის მდ. ჭერათხეულას. „ფიჭვნარის, ნაქერისა და ორტოტის ღელეები, რომ ერთდება, მერე არის ულუმბის წყალი“.

ფიჭვნარი - ადგ., საძოვარი სამხრეთ-დასავლეთ მხარეს. „ადრე სახნავი იყო, ფიჭვი ყოფილა, როცა ბასილა კიპაროიძეს გაუკაფია”.

ფიჭვნარის ღელე//ფიჭვნარის წყალი - ადგ; ღელე, ჩამოედინება სოფელში სამხრეთ მხრიდან, ერთვის ულუმბის წყალს.

ფხეწოს ნამწვი - ადგ; იგივე სვიმონკას ნამწვი.

ქვედაუბანი - ადგ; უბანი, იგივე ბელაშვილებისა და ხარაიშვლების უბანი. ქვედაუბნის წყარო - ადგ; წყარო სოფლის ცენტრში ეკლესიასთან. „ეკუთვნოდა ბელაშვილებს და ხარაიშვილებს”.

ძმანელების მიწა - ადგ., მინდორი დასავლეთის მხარეს. „ადრე სახნავი იყო. ამ ადგილზე ჭალოვნელებთან ჰქონდათ დავა, ჩვენებმა წაართვეს და მერე დაერქვა ეს სახელი“.

წიწკილა წყარო//წიწკილა - ადგ; წყარო აღმოსავლეთის მხარეს. „ძველებურად გათლილი ხის ღარი ეგო და წყალი მოწინწკილებდა“.

წისქვილის ღელე - ადგ; ღელე აღმოსავლეთის მხარეს, უერთდება მდ. ჭერათხეულას. „წისქვილები ედგათ“. ძველახო - ადგ., მინდორი, საძოვარი დასავლეთის მხარეს. „ძველი პაპის გაკეთებული ახოა და ამიტომ ეძახიან, კიპაროიძეებს ეკუთვნოდა“.

ჭალების გზა - გზა აღმოსავლეთ მხარეს. „ამ გზით შემოვდივართ სოფელში. დაბალი ადგილია, ჭალებს უძახდნენ“.

ჭალების მინდორი - ადგ., მინდორი აღმოსავლეთის მხარეს, ჭალების გზაზე.

ჭალის წყალი - მდინარე, იგივე ულუმბის წყალი.

ხარაიშვილების უბანი - უბანი სოფლის სამხრეთ ნაწილში, ეკლესიის მოპირდაპირე მხარეს, წყალგაღმა.

ხვანელების მიწა - ადგ., სახნავი დასავლეთის მხარეს.

ხვანელების მიწის აღმართი - გზა ჩრდილოეთის მხარეს. „ხვანი სოფელია საჩხერის რაიონში“.

ჯვრის აღმართი - გზა დასავლეთის მხარეს. „ძველებურად გაკეთებულია ჯვარი, გზაჯვარედინიც არის“. *

* *

1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობამ ულუმბოშიც შეანათა, მაგრამ სამი წლის შემდეგ, 1921 წლის თებერვალში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. 25თებერვალს თბილისში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება, ხოლო 5 მარტს ხაშურშიც შემოვიდა რუსეთის წითელი არმიის ნაწილები. ულუმბაშიც დაიწყო საბჭოური წესით ცხოვრება.

ერთ-ერთი პირველი ღონისძიება, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ გაატარა, ქარტერხილებგამოვლილი ღვთისმშობლის ეკლესიის დახურვა იყო. 1923 წლის 1 აგვისტოს, გომის სათემო აღმასკომის თავმჯდომარე გორის მაზრის შინა მმართველობის განყოფილებას აცნობებდა, რომ „თემში ყველა ეკლესიები დახურულია“.

თითქმის 70 წელი აწვიმდა და ათოვდა ეკლესიას, შამბმა და ძეძვნარმა დაფარა ეკლესიის ეზო, დაინგრა გალავანი. 80-იან წლებში ეკლესიის კამარაც ჩამოინგრა. ეკლესიის ნგრევა კიდევ გაგრძელდებოდა, რომ არ გამოჩენილიყვნენ ადამიანები, რომელთაც ითავეს მისი აღდგენა. ალ. იკაშვილის თაოსნობით აღდგა და გადაიხურა ეკლესიის კამარა, მერე მამა გაბრიელიც გამოჩნდა და დაიწყო ულუმბის აღდგენის შეუქცევადი პროცესი...

30-იან წლების დასაწყისში, ულუმბაშიც ჩამოყალიბდა კოლმეურნეობა და ულუმბოელებიც ჩაებნენ კოლექტიური შრომის ფერხულში... მერე იყო დიდი სამამულო ომი და ულუმბოელებიც ჩადგნენ სამშობლოს დამცველთა რიგებში. არაერთი მათგანი გმირის სიკვდილით დაეცა ბრძოლი ველზე. სოფლად დარჩენილი ქალები, მოხუცები და ბავშვები გაასკეცებული ენერგიით შრომობდნენ საკოლმეურნეო ველ-მინდვრებში. ფრონტსაც და ზურგსაც თანაბრად ჭირდებოდა მათი შრომა... მერე ომიც დამთავრდა და ულუმბელების მხოლოდ ერთი ნაწილი დაუბრუნდა მშობლიურ კერას. სოფელი გამოცოცხლდა, თანდათან შუშდებოდა ომით გამოწვეული ტკივილი და ხალისი ისადგურებდა თითოეული ულუმბოელის სულში. თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ...

* * *

XX ს - ის 50 - იან წლების ბოლოს ულუმბელები დიდი გულისტკივილით დაემშვიდობენ თავიანთ ადგილის დედას. ზოგი ნებაყოფლობით, ზოგი კიდევ ძალით და ასე მოიშალა ერთი უმშვენიერესი სოფელი. მერე ზეფხულობით თუ გამოიხედავდნენ ხოლმე ულუმბელები ულუმბისაკენ. იხსენებდნენ მამა-პაპეულ ადგილებს და სევდა ისადგურებდა მათ თვალებში მიტოვებული,გაპარტახებული,ღობე-მორღვეული კარ-მიდამოების,ნასახლარების ხილვისას. იხსენებდნენ თუ როგორ დაატოვებინეს მამული და სხვადსხვა ადგილებში ჩასახლეს. იმასაც იხსენებდნენ აქაურები, რომ ზოგიერთი ახალ საცხოვრის ვერ შეჰგუებია და თვითნებურად დაბრუნებულა უკან. შემდეგ ეს ზოგიერთები მილიციის ძალით აუყრიათ მამა-პაპეური ადგილებიდან და ახალი საცხოვრისისკენ გაუყენებიათ...

* * *

2019 წლის 17 მაისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება, რომელშიც ნათქვამია: „მოწონებულ იქნას ხაშურში მცხოვრები მოქალაქეების 2019 წლის 17 აპრილის წინადადება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასახლების შექმნის, დასახლებისათვის შესაბამისი კატეგორიის მინიჭების, დასახლების ადმინისტრაციული საზღვრების დადგენისა და დასახლებისათვის სახელწოდება - „ულუმბო“ - ს დარქმევის შესახებ“.

ეს დადგენილება ძველი სოფლის ახალი სიცოცხლის დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ. „ხაშურში მცხოვრები მოქალაქეები“ ულუმბოდან გადმოსახლებულები არიან. იმედიც უნდა ვიქონიოთ, რომ ისინი თავიანთ ადგილის დედას ახალ სიცოცხლეს შთაბერავენ, აღადგენენ და ააღორძინებენ.

ულუმბოს ღვთისმშობელი იყოს მათი შემწე ამ საშვილიშვილო და საქვეყნო საქმეში.

თამაზ ლაცაბიძე

- ჯანმრთელობა -

# ხაშურის მუნიციპალიტეტში სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია დაიწყო

ააიპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“, დირექტორის დავით ჩიქოვანის ინფორმაციით, 16 ოქტომბრიდან ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის ხაშურის მუნიციპალიტეტშიც, სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია დაიწყო.

გრიპის ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია უფასოდ ჩაუტარდებათ რისკ-ჯგუფებს:

დიაბეტის მქონე პირები; დიალიზზე მყოფი პირები;

ც ჰეპატიტის მქონე პირები (მხოლოდ მკურნალობაზე მყოფნი);

აივ ინფექცია/შიდსის მქონე პირები;

ორგანოგადანერგილი და მუკოვისციდოზის დაავადების მქონე პირები;

60 წლის და უფროსი ასაკის ხანდაზმული პირები;

ორსულები;

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (სკოლები) პედაგოგები;

ბავშვთა (მ.შ. მცირე საოჯახო ტიპის) და მოხუცთა თავშესაფრების ბენეფიციარები და მათი მომვლელი პერსონალი;

ასევე: სავალდებულო ვაქცინაციას დაქვემდებარებულ მედპერსონალს, ვეტერინარიასა და გარემოს დაცვის სფეროში მომუშავე პერსონალს, ადრეული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მომსაურე კონტიგენტს, თავდაცვის, უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სამსახურის თანამშრომლებს, პენიტენციურ დაწესებულებაში მომუშავე პერსონალს, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს.

გრიპის სეზონი ოქტომბრიდან იწყება. ამ დროისათვის შემთხვევები არ არის. მხოლოდ ზედა სასუნთქი გზების ინფექციები ფიქსირდება. გრიპის ვირუსის შემთხვევა არ გვქონია არც საქართველოში და არც ხაშურში. ამ ეტაპზე ძირითადად გავრცელებულია ვირუსული ინფექციები. გრიპი კოვიდზე არანაკლებ მძიმე დაავადებაა. გრიპი იწყება ციებით, მაღალი ტემპერატურით, რთულდება ხველით და ა. შ. ამ დროისათვის, როგორც გითხარით, გრიპის შემთხვევები არ გვაქვს. შემოტანილია გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინა, 1200 დოზა. 16 ოქტომბრიდან დავიწყეთ გრიპის აცრები. 464 აცრა ჩატარდა ამ დროისათვის. მოსახლეობა ძალიან აქტიურია, განსაკუთრებით პენსიონერები, პედაგოგები, ქრონუკული დაავადებების მქონე პირები, სამედიცინო პერსონალი. აცრა ტარდება იმუნიზაციის რეგისტრაციის მქონე ყველა სამედიცინო დაწესებულებაში: „გორმედში“, „ახალ კლინიკაში“, სურამის სადაბო პოლიკლინიკაში, ყველა სოფლის ამბულატორიაში.

დავით ჩიქოვანი საუბარში აღნიშნავს, რომ ძალიან ბევრმა სოფელმა გაიტანა ვაქცინა და აქტიურად მიმდინარეობს გრიპის იმუნიზაცია ადგილზე. ბუნებრივია გრიპის ვაქცინის უსაფრთხოებითაც დავინტერესდით. დავით ჩიქოვანის განცხადებით, გრიპის ვაქცინა გამოცდილია, არ ახასიათებს გართულებები, გვერდითი მოვლენები. ეს არის ჯანმოს მიერ დამტკიცებული, ევროპული ვაქცინა.

ეს არის ეფექტური ვაქცინა, საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი. 9 წლის განმავლობაში სისტემატიურად ვიტარებ ვაქცინაციას და დამიჯერეთ, ეფექტურია. შემიძლია გითხრათ, რომ ფაქტობრივად ადამიანები, ელოდებიან ვაქცინის შემოსვლას სეზონზე, რადგან სერიოზული სახის პრევენციაა დაავადებისაგან. ეს არის 4 ვალენტიანი ვაქცინა და სეზონზე ცირკულირებულ გრიპის ვირუსებზე საწინააღმდეგოდ არის განკუთვნილი.

შემოდგომის სეზონზე კოვიდ ვირუსის გააქტიურებას ელოდნენ ქვეყანაში. თუმცა, პროგნოზები არ გამართლდა. მართალია სექტემბერში შდარებით მეტი კოვიდ შემთხვევა დაფიქსირდა ხაშურში, მაგრამ ოქტომბრის ბოლო ორი კვირა კოვიდ ვირუსის კლება შეინიშნება. საიმედოა ის ფაქტიც, რომ მინიმუმამდეა დაფიქსირებული კოვიდის გართულებული შემთხვევები. თითქმის არც ერთი პაციენტი არ საჭიროებს სტაციონარულ მკურნალობას. 5-7 დღის შემდეგ დგება გამოჯანმრთელება. კორონა ვირუსი იგივე სიმპტომებით ხასიათდება, რაც გასულ წლებში, პანდემიის აფეთქებისას.

მიუხედავად იმისა, რომ აღარ ტარდება კოვიდის ვაქცინაცია, კვლავ გრძელდება კოვიდის სწრაფი ტესტირებები. სექტემბერში, ერთი კვირის განმავლობაში, 40 - დან 60 შემთხვევამდე დაფიქსირდა ხაშურის მუნიციპალიტეტში. გასულ კვირას კი- მხოლოდ 9 შემთხვევა.

რა ფაქტორებმა განაპირობა კოვიდის შემთხვევების კლება?

ერთი, რომ მოსახლეობის უმეტესობა აცრილია და გარკვეული იმუნიტეტი გამომუშავდა. მეორე, რომ უფრო დასუსტდა ვირუსი, იმდენად გადამდები აღარ არის.

დავით ჩიქოვანი მოუწოდებს რისკის ქვეშ მყოფ ყველა ადამიანს, დროულად ჩაიტარონ გრიპის საწინააღმდეგო აცრა და მიჰყვენ ექიმის მითითებებს, რათა თავიდან აიცილონ რესპირატორული ინფექციების გამო შესაძლო გართულებები. პროფესიონალის რჩევები არაფრით განსხვავდება როგორც გრიპის, ასევე კოვიდის ვირუსის პრევენციისათვის. მოვერიდოთ განსაკუთრებით ხალხმრავალ ადგილებს. ინფიცირებულმა, სიმპტომების მქონე პირმა, დროულად მიმართოს ექიმს, მიიღოს სპეციალისტის რჩევა-დარიგებები. მოერიდოს სამსახურში წასვლას, სასაზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს. ისევ და ისევ ხელების ჰიგიენა, თუ საშიშროება არსებობს, განსაკუთერებით საზოგადოებრივ ტრანსპორტში ნიღბის მოხმარებას მიმართოს

**თ. ახალკაცი.**

# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები მოსახლეობას წლიური მუშაობის ანგარიშს აბარებენ

საკრებულოს წევრმა მაკა დიდებულიძემ და სურამისა ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა წევრმა მაყვალა მაისურაძემ ამომრჩეველთან შეხვედრა გამართეს და 2023 წელს განხორციელებული საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს.



პრეზენტაციაში მაკა დიდებულიძემ ყურადღება გაამახვილა მის მიერ ინიცირებულ ორ საკითხზე: მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირთათვის შეღავათის დაწესება და „ქალთა ოთახის” დაფუძნება. ასევე ისაუბრა მისი ჩართულობით კომისიებში გაწეული საქმიანობის შესახებ და განხორხიელებულ პროექტებზე.

მაყვალა მაისურაძემ სოციალურ საკითხთა კომისიის მუშაობის ფარგლებში მისი ჩართულობით განხორციელებულ მნიშვნელოვან საკითხებზე ისაუბრა.

როგორც მან აღნიშნა, ჯანდაცვის და სოციალური დახმარების მიმართულებით ხაშურის მუნიციპალიტეტში მოქმედი პროგრამებისა და ქვეპროგრამების რაოდენობა იზრდება, შესაბამისად, იზრდება ბენეფიციართა რიცხვიც. მანვე ყურადღება გაამახვილა სურამის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელებულ და დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

საკრებულოს წევრებმა უპასუხეს ამომრჩეველთა შეკითხვებს. ანგარიშის წარდგენას ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი მოადგილეებთან ერთად, მაჟორიტარი წევრის ბიუროს წარმომადგენელი და მერიის სახმსახურების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის ვალდებულება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს 1 ნოემბრამდე აქვთ.

# სოფ. ხცისის ბიბლიოთეკაში, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდების მთავარმა მცველმა, მზია ლობჟანიძემ წარმოადგინა პრეზენტაცია: „სოფ. ხცისის #1 სამარხი“.

შეხვედრას ესწრებოდნენ საქ. ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური კვლევების ინსტიტუტის სამეცნიერო მიმართულების ხელმძღვანელი, ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არქეოლოგიური კვლევების კურატორი, ბიძინა მურვანიძე, მხატვარი-არქიტექტორი, თამარ სახვაძე, ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების მმართველი, ბატონი თამაზ ლაცაბიძე, სოფ. ხცისის გამგეობისა და სკოლის წარმომადგენლები, ბიბლიოთეკის თანამშრომლები.

სამუშაო შეხვედრამ ნაყოფიერად ჩაიარა, დამსწრე საზოგადოება გაეცნო სოფ. ხცისში 2021 წელს შემთხვევით აღმოჩენილი სამარხის გადარჩენითი არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად მოპოვებულ არტეფაქტებს და მასთან დაკავშირებულ პუბლიკაციებს. გამოიკვეთა სამომავლო თანამშრომლობის გეგმები სოფ. ხცისის საჯარო სკოლასა და ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს შორის.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტურისტული ღირსშესანიშნაობანი.
ცხრამუხის „წმინდა სამების“ სახელობის ტაძარი.
ნიკა კახეთელიძის ფოტო.

## - ხაშურს პროფესიონალი მოკრივეც ჰყავს -

პროფესიონალური კრივი სპორტის ის სახეობაა, რომელსაც მთელს მსოფლიოში მილიონობით გულშემატკივარი ჰყავს და იმხელა აუდიტორიას კრებს, რომ სპორტის მრავალი სახეობის მიმდევრებს

არც დაესიზმრებათ. პროფესიონალურ კრივში, როგორც წესი, უკვე დაღვინებული და ე.წ. სამოყვარულო კრივში ოფლდაღვრილი მოკრივეები გადადიან და იქ აგრძელებენ კარიერას. თუმცა, არიან იშვიათი გამონაკლისებიც და (ჰოი, საოცრებავ) ერთ-ერთი მათგანი ხაშურელი საბა გელაშვილია, რომელიც ჯერ მხოლოდ 17 წლისაა და ხაშურის მე-6 საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლეა.

მოდით, ვაღიაროთ პირდაპირ: ხაშურში კრივი პოპულარობით ბევრად დაბლა დგას ჭიდაობის, ფეხბურთის თუ კალათბურთის სახეობებთან შედარებთ. აი, სწორედ ამის შეცვლა უნდა საბას და ეს „პატარა“ ბიჭი ყველაფერს აკეთებს კრივის პოპულარიზაციისათვის. რა თქმა უნდა, მარტო ამას ვერ გაუმკლავდება და უკვე გამოცდილ სპეციალისტთან - დიტო ქურდაძესთან, ერთად ეჭიდება ამ საქმეს. მაგრამ ხომ უკვე საინტერესოა 17 წლის მწვრთნელი. არადა, სწორედ ასეა - თავის უფროს კოლეგასთან ერთად, საბა 14 სპორტსმენს ავარჯიშებს,რომელთა ასაკი 6- დან 20 წლამდეა. უნდა ნახოთ, როგორი ენთუზიაზმია მის თვალებში, როგორი სიყვარულით საუბრობს კრივზე და როგორი შემართება აქვს. ეს ყველაფერი კი აუცილებლად აისახება შედეგებში. ჯერ კი საბა საქართველოს პრიზიორია და რაც, მთავარია,უკვე პირველი ბრძოლაც ჩაატარა პროფესიონალებში. მოკლედ,დაიმახსოვრეთ ეს სახელი - საბა გელაშვილი, რომელსაც დიდი მიზნები აქვს და მის ზემოაღნიშნულ უდიდეს შემართებას და დაუზარელ შრომას თუ

გავითვალისწინებთ, არაა გამორიცხული რომ ახლა დიდი სპორტმენის პირველ ნაბიჯებს ვადევნებთ თვალს. ყოველშემთხვევაში, ოცნებას კაცი არ მოუკლავსო და ჩვენი სურვილი (საბასიც, რა თქმა უნდა) სწორედ ესაა, რომ მისი სახელი დიდი ასოებით ჩაიწეროს კრივის უზარმაზარ რუკაზე.

წარმატებები საბას!

გოგი გოგალაძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია და მუნიციპალიტეტის საკრებულო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ხაშურის საპატიო მოქალაქე, ღვაწლმოსილი პედაგოგი, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი

ნინო ქურდაძე - გელაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

„ხაშურის მოამბის“ რედაქცია უერთდება სამძიმარს და მწუხარებას გამოთქვამს ამ შესანიშნავი ქალბატონის გარდაცვალების გამო.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით
გაზეთი იბეჭდება თბილისში.